

საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის დასახელება - გეოგრაფია (Geography).

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი (გეოგრაფია);

საბაკალავრო პროგრამის მიზანი -

- შეუქმნას სტუდენტს ზოგადგეოგრაფიული საფუძველი, რაც თავის მხრივ გულისხმობს: ბუნების კომპონენტებისა და ელემენტების რთულ ურთიერთობათა სრულფასოვან წარმოდგენას, მათი კავშირების დანახვას და მისგან გამომდინარე მოვლენების ზოგადგეოგრაფიული კანონების შეცნობას, გეოგრაფიული გარსის აგებულების, განვითარებისა და ტერიტორიული დიფერენციაციის შემეცნებას;
- გამოუმუშაოს სპეციალური უნარ-ჩვევები კარტოგრაფია-გეოინფორმატიკისა და გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის პროფილით;
- გააცნოს სტუდენტებს მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიისა და ოკეანოლოგიის საფუძვლები;
- დაანახოს საქართველოს გეოგრაფია კომპლექსურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, გაანალიზოს ის, როგორც კავკასიის რეგიონისა და მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი.

სწავლის შედეგი -

ბაკალავრს ეცოდინება :

- საბუნებისმეტყველო გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის იმ დარგების საფუძვლები, რომლებიც სწავლობენ გეოგრაფიული გარსის სტრუქტურულ ელემენტებს და მის ცალკეულ კომპონენტებს;
- კარტოგრაფიული წარმოების მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები ;
- გეოინფორმაციული კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგიები ;
- მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიისა და ოკეანოლოგიის საფუძვლები;
- ბაკალავრი შეძლებს ერთიანი გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური პრობლემების კომპლექსურ გააზრებასა რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე;

მიღებული საბაზო ცოდნის საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს სწავლის გაგრძელებას სწავლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში

ბაკალავრი შეძლებს:

- საველე პირობებში რელიეფის სხვადასხვა ფორმების კომპლექსურად შესწავლას ;
- მოფრომეტრული და მორფოლოგიური კვლევების ჩატარებას ;
- საშიში პროცესების, რისკ-ფაქტორების დადგენასა და პროგნოზირებას უახლესი ტექნოლოგიებისა და გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით ;
- დამოუკიდებლად ჩაატაროს ყველა სახის კარტომეტრული სამუშაოები ;
- კარტოგრაფიული და გეოინფორმაციული დიზაინისა და კარტოგრაფიული პროდუქციის გაფორმების ტექნოლოგიების გამოყენებას ;

- გარემოსა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოეკოლოგიური პროცესებისა და პრობლემების ერთიან გააზრებასა და სიღრმისეულ გაცნობიერებას;
- საშიში კატასტროფული მოვლენების ზემოქმედების მინიმინიზაციის ღონისძიებების გატარებას.

ბაკალავრს ჩამოუყალიბდება უნარ-ჩვევები :

- გააკეთოს საინჟინრო-გეომორფოლოგიური სარეკომენდაციო დასკვნები სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოებისას;
- შეადგინოს და გამოიყენოს გეოინფორმაციული სისტემები;
- შეადგინოს ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკები ;
- შექმნას ტერიტორიის რესურსული პოტენციალის მონაცემთა ბაზები და საკადასტრო სისტემები;
- გამოიყენოს დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები ;

დასაქმების სავარაუდო სფეროები:

- შესაბამისი პროფილის სასწავლო – კვლევითი და სამეცნიერო დაწესებულებები;
- გეოგრაფიული პროფილის საწარმოები და ფირმები;
- გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკის, თავდაცვის სამინისტროები, სატყეო დეპარტამენტი, მიწათმოწყობისა და კადასტრის დეპარტამენტი, სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტები - შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები და საორგანიზაციო სტრუქტურები;
- ჰიდრომეტეოროლოგიური ორგანიზაციები;
- წყლის მეურნეობის ინდუსტრია;
- საჰაერო და საზღვაო პორტები, სატრანსპორტო ორგანიზაციები;
- ტურისტული ფირმები და ორგანიზაციები;
- დაცული ტერიტორიების სისტემა (ნაკრძალები და სხვა.);
- მუნიციპალური სამსახურები (ტერიტორიის მენეჯმენტი, საკადასტრო სამსახური);